



კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	კულტუროლოგია /Culture Studies/
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	
ფაკულტეტის დასახელება	ჰუმანიტარული ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი /ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	რუსუდან მიქაუტაძე - ისტორიისა და არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი
პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	დამატებითი (Minor) 60 ECTS კრედიტი 6 სემესტრი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	2013 წლის ოქტომბერი /შემუშავების თარიღი/ 2017 წ. ოქტომბერი /განახლების თარიღი/
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსი.	
პროგრამის მიზნები	
<p>უკანასკნელ წლებში უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე რეფორმები, დღის წესრიგში აყენებს ახალ, თანამედროვე, ინტერდისციპლინარული პროგრამების სწავლების საკითხს. ასეთ პროგრამათა რიგს მიეკუთვნება კულტუროლოგიის მაინორ პროგრამა.</p> <p>კულტუროლოგია აერთიანებს სხვადასხვა მეცნიერებებში დაგროვილ ცოდნას კულტურის შესახებ, ახდენს სხვადასხვა ეპოქათა, კონფესიათა, ხალხთა, ფენათა კულტურული კონფიგურაციების მოდელირებას, მათ სისტემაში მოყვანას. იგი სწავლობს კულტურის გენეზისის, ფუნქციონირების და განვითარების, მემკვიდრეობით გადაცემის და მდგრადობის საკითხებს, აგრეთვე მათი გამოვლენის ისტორიულ მრავალფეროვნებას.</p>	

პროგრამა უზრუნველყოფს კულტურის სფეროში კომპეტენტური და სათანადო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კადრის მომზადებას, რომელსაც შეეძლება შეიცნოს და გაიაზროს კულტურის ფენომენი, კულტუროლოგიის ცნებითი აპარატი, გაანალიზოს კულტურის სემიოტიკური ბუნება, გამოიკვლიოს ისეთი საკითხები, რომლებიც ეხება მულტიკულტურულ, მრავალეთნიკურ და მრავალკონფესიურ საზოგადოებათა ისტორიულ-კულტურულ დინამიკას, დასავლეთის კულტურულ ექსპანსიას და მის მექანიზმებს, კულტურული დამოუკიდებლობისათვის და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის საკითხებს გლობალიზაციის პირობებში, კულტურათაშორისი ურთიერთობების თანამედროვე ტენდენციებს, სხვადასხვა კულტურებთან ტოლერანტობის საკითხებს.

სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)

ცოდნა და გაცნობიერება

ემპირიული და თეორიული ცოდნის საფუძველზე სტუდენტია აღჭურვილია ზოგადი ცოდნით კულტუროლოგიის ცნებითი აპარატისა და ძირითადი კონცეფციების შესახებ

-სტუდენტს შეეძლება:

- პოლიეთნიკურ, მრავალკონფესიურ და ამულტიკულტურულ საზოგადოებათა ისტორიულ-კულტურული დინამიკის და მისი შედეგების სწორადგ ააზრება; რელიგიისა და საერო კულტურის ურთიერთმიმართების შესახებ კამათი და მისი ანალიზი

- იმ ტენდენციების გაანალიზება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კულტურის მარგინალიზაცია და კონტრკულტურული ელემენტების გაბატონება კულტურაში

- გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების და იმ გამოწვევების სწორი გაცნობიერება, რისი საფრთხის წინაშე დგას დღეს საკაცობრიო კულტურა

- ინფორმაციული საზოგადოების ძლიერი და სუსტი მხარეების სწორად შეფასება კულტურული იდენტობის შენარჩუნებისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების გზაზე

- კულტურათაშორისი ურთიერთობების და კომუნიკაციის არსის შესახებ მსჯელობა, ნაციონალურ და გლობალურ კულტურათა ურთიერთმიმართებების, დაპირისპირებისა და შეგუებადობის საკითხების გაანალიზება .

- სწორი გაანალიზება და იმ მიზეზებისა და მიზნებისა, რამაც განაპირობა ქართული კულტურის სწრაფვა ევროპულ კულტურულ წრესთან დაახლოებისათვის; მეზობელ კულტურებთან ქართული კულტურის გახსნილობის და მათი ურთიერთკავშირის სწორი აღქმა

- ენის, კულტურის და საზოგადოების ურთიერთმიმართების კულტურის სემიოტიკური ბუნების, კულტურაში გენდერული პრობლემების

	გაცნობიერება, წარმოჩენა და შეფასება.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> -თანამედროვე მსოფლიო კულტურაში მიმდინარე რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესების, მიმდინარე კონფლიქტების კულტურული ასპექტების ანალიზს. -კულტურის მოზაიკური ბუნების გაანალიზებას და მიღებული ცოდნის, როგორც მეთოდოლოგიური საფუძვლის გამოყენებას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში დაგროვილი სხვადასხვა პრობლემური საკითხების განხილვისას. -თანამშრომლობას სხვა დარგების სპეციალისტებთან ინტერდისციპლინარული სწავლების პროცესში.
დასკვნის უნარი	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ამა თუ იმ საკითხის კრიტიკული შეფასება, ლოგიკური მსჯელობა და ადეკვატური დასკვნების გამოტანა სწორი და დასაბუთებული მეთოდების საფუძველზე. -უახლესი ინფორმაციის, ასევე შესწავლილი მასალის შედეგების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის, შეფასების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
კომუნიკაციის უნარი	<p>კურსდამთავრებულს ექნება შეძენილი:</p> <ul style="list-style-type: none"> -განსხვავებული აზრის პატივისცემისა და გათვალისწინების, პაექრობისას საკუთარი აზრის კორექტულად გამოხატვის უნარი. -თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შეძენილი ცოდნის პრეზენტაციის უნარი ზეპირი და წერილობითი ფორმით. -დისკუსიაში მონაწილეობის, აზრის მკაფიოდ და არგუმენტირებულად ჩამოყალიბების უნარი;
სწავლის უნარი	-სტუდენტს შეუძლია უახლესი ლიტერატურის მოძიება, დამუშავება და ათვისება, ემპირიული და თეორიული მასალის შეჯერება,
ღირებულებები	-კულტუროლოგიის პროგრამით გათვალისწინებული საგნების შესწავლის საფუძველზე სტუდენტს გაცნობიერებული ექნება ზოგადსაკაცობრიო კულტურული ღირებულებების მნიშვნელობა დემოკრატიის

განვითარებისათვის, ცალკეული ერების იდენტობის შენარჩუნებისა და იმავდროულად კულტურული მრავალფეროვნების აღიარებისათვის.
-განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი;

სწავლების მეთოდები

საკონტაქტო: პასიური და აქტიური (სალექციო ფორმით)

ინტერაქტიური(სამუშაო ჯგუფში მუშაობა);

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა;

სწავლების პროცესში გამოიყენება:

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი:

სალექციო მასალის ვიზუალური პრეზენტაცია და ვერბალური განმარტება, დისკუსია;

წიგნზე მუშაობის მეთოდი:

დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად დავალების მიცემა წიგნზე მუშაობის სახით;

წერიტი მუშაობის მეთოდი:

ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა,

რეფერატის ან ესეს შესრულება;

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ და დაწვრილებით განხილვა მოცემული თემისფარგლებში.

დისკუსია/დებატები –დისკუსიის როცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობი სხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში.ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტსკ ამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ევრისტიკული მეთოდი-დასმული ამოცანის ეტაპობრივი გადაწყვეტა ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით

ინდუქცია-დედუქცია- სწავლის პროცესში საკითხის განხილვის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ და პირიქით.

ანალიზი-სინთეზი - სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის შემადგენელ ნაწილებად დაშლა და ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება და პირიქით.

გონებრივი იერიში:

-კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი,

სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბება და გამოთქმის ხელშეწყობა;
-პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისაგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
-გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
-კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
-შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
-უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
(დაწვრილებით იხ.სილაბუსებში)

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო გეგმა იხ.დანართის სახით!
იხ დანართი 1.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად,მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასებაგ არკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
 - ა) შუალედურ შეფასებას;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლოკურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51-ზე

შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

დასაქმების სფეროები

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრი.

პროგრამას განახორციელებს აწსუ-ს აკადემიური პერსონალი: ისტორიისა და არქეოლოგიის დეპარტამენტი; ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დეპარტამენტი; სლავისტიკის დეპარტამენტი; ენათმეცნიერების მიმართულება

დანართი 2

№	კურსის დასახელება	კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
I.1	კულტურის თეორიის საფუძვლები	*	*	*	*	*	
I.2	რელიგია და კულტურა	*	*	*	*	*	
I.3	უძველესი და ანტიკური პერიოდის მსოფლიო კულტურა	*	*	*	*	*	*
I.4	შუა საუკუნეების და ახალი ეპოქის მსოფლიო კულტურა	*	*	*	*	*	*
I.5	თანამედროვე მსოფლიო კულტურა	*	*	*	*	*	*
I.6	ქართული კულტურის ისტორია /უძველესი დროიდან შუა საუკუნეებამდე/	*	*	*	*	*	*
I.7	ქართული კულტურის ისტორია /შუა საუკუნეები, ახალი და უახლესი ეპოქები/	*	*	*	*	*	*
I.8	აშშ ცხოვრების წესი და კულტურა	*	*	*	*	*	*
I.9	კულტურის სემიოტიკის საფუძვლები	*	*	*	*	*	

1.10	კულტურათა ურთიერთმიმართება და კულტურული კომუნიკაცია	*	*	*	*	*	*
1.11	ენა და კულტურა	*	*	*	*	*	*
1.12	გენდერი და კულტურა	*	*	*	*	*	*

სასწავლო გეგმა

№	კურსის დასახელება	სემესტრი						დაშვების წინაპირობა
		III	IV	V	VI	VII	VIII	
1	2	10	11	12	13	14	15	16
I.1	კულტურის თეორიის საფუძვლები	x						
I.2	რელიგია და კულტურა	x						
I.3	უძველესი და ანტიკური პერიოდის მსოფლიო კულტურა		x					
I.4	შუა საუკუნეების და ახალი ეპოქის მსოფლიო კულტურა			x				
I.5	თანამედროვე მსოფლიო კულტურა				x			
I.6	ქართული კულტურის ისტორია /უძველესი დროიდან შუა საუკუნეებამდე/		x					
I.7	ქართული კულტურის ისტორია /შუა საუკუნეები, ახალი და უახლესი			x				

	ეპოქები/							
1.8	აშშ ცხოვრების წესი და კულტურა კულტურის სემიოტიკის საფუძვლები				x			
1.9	კულტურის სემიოტიკა					x		
1.10	კულტურათა ურთიერთმიმართება და კულტურული კომუნიკაცია						x	
1.11	ენა და კულტურა						x	
1.12	გენდერი და კულტურა					x		
სულ								